

შეთანხმება

ევროკავშირის პროკურატურასა და საქართველოს პროკურატურას შორის თანამშრომლობის შესახებ

ევროკავშირის პროკურატურა და

საქართველოს პროკურატურა,

შემდგომში ერთად მოხსენიებულნი, როგორც „მხარეები“,

მხედველობაში იღებენ რა 2017 წლის 12 ოქტომბრის საბჭოს N2017/1939 რეგულაციის (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „ევროკავშირის პროკურატურის რეგულაცია“) დებულებებს, რომელიც იმპლემენტაციას უკეთებს ევროკავშირის პროკურატურის დაარსებასთან დაკავშირებით თანამშრომლობის გაძლიერებას, განსაკუთრებით მის 99-ე და 104-ე მუხლებს,

ითვალისწინებენ რა მხარეთა სურვილს, დაამყარონ მჭიდრო თანამშრომლობა საგამოძიებო და საპროკურორო საშუალებების გამოყენებით ევროკავშირისა და საქართველოს ფინანსური ინტერესების დაცვის მიზნით,

მიზნად ისახავენ რა ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის შესაბამისად, ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად თანამშრომლობისა და მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობას, აგრეთვე, ევროკავშირის ბიუჯეტის წინააღმდეგ დანაშაულის ჩამდენი ყველა ბრალდებული ან ეჭვმიტანილი პირის დაყოვნების გარეშე მართლმსაჯულების წინაშე წარდგენას,

თანხმდებიან შემდგომში:

I თავი

ზოგადი დებულებები

მუხლი 1

შეთანხმების მიზანი

წინამდებარე შეთანხმების მიზანია კომპეტენციის ფარგლებში დანაშაულის გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით მხარეთა შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა, სტრატეგიული და ოპერატიული ინფორმაციისა და მტკიცებულებების გაცვლის გზით, ექსტრადიციისა და თანამშრომლობის სხვა ფორმების გამოყენებით, რომლებიც შესაბამისობაშია მათ შესაბამის კანონმდებლობასთან, მათ შორის, მოქმედ ორმხრივ და მრავალმხრივ ინსტრუმენტებთან და წინამდებარე შეთანხმების დებულებებთან.

მუხლი 2

მოქმედების სფერო

მხარეები ითანამშრომლებენ წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ ყველა სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 3

ტერმინთა განმარტება

წინამდებარე შეთანხმების მიზნებისთვის:

- ა) „ევროპელი პროკურორი“ გულისხმობს ევროკავშირის პროკურატურის რეგულაციის მე-16 და 96(1) მუხლებში მითითებულ ევროკავშირის პროკურატურის თანამშრომლებს;
- ბ) „უფლებამოსილი ევროპელი პროკურორი“ გულისხმობს ევროკავშირის პროკურატურის რეგულაციის მე-17 და 96(6) მუხლებში მითითებულ ევროკავშირის პროკურატურის თანამშრომლებს;
- გ) „ევროკავშირის პროკურატურის თანამშრომლები“ გულისხმობს ევროკავშირის პროკურატურის რეგულაციის 2(4) მუხლში მითითებულ თანამშრომლებს და სხვა პირებს;
- დ) „მეკავშირე ოფიცერი“ გულისხმობს პროკურორს/ოფიცერს, რომელიც თავისი სტატუსით ექვემდებარება საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობას;

- ე) „პერსონალური მონაცემები“ გულისხმობს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირთან („მონაცემთა სუბიექტი“). იდენტიფიცირებადი ფიზიკური პირი წარმოადგენს იმ პირს, რომლის იდენტიფიცირებაც შესაძლებელია პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, ისეთ იდენტიფიკატორზე მითითებით, როგორც არის სახელი, საიდენტიფიკაციო ნომერი, ადგილსამყოფელის თაობაზე ინფორმაცია, ონლაინ იდენტიფიკატორი, ან ერთი ან რამდენიმე ფაქტორი, რომელიც დამახასიათებელია ამ ფიზიკური პირის ფიზიკური, ფიზიოლოგიური, გენეტიკური, გონებრივი, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური იდენტობისთვის; და
- ვ) „ინფორმაცია“ გულისხმობს პერსონალურ და არა პერსონალურ მონაცემებს.

II თავი

ოპერატიული თანამშრომლობა

მუხლი 4

თანამშრომლობა მტკიცებულებების შეგროვებასთან დაკავშირებით

მხარეები მტკიცებულებათა შეგროვების მიზნით ერთმანეთს აღმოუჩენენ ფართო სამართლებრივ დახმარებას იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია შესაბამისი ხელშეკრულების, შეთანხმების ან კანონმდებლობის საფუძველზე, რომელთა შორისაცაა:

1. სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ ევროპული კონვენცია (სტრასბურგი, 1959 წლის 20 აპრილი) და მისი დამატებითი ოქმები, რომელთან დაკავშირებითაც წევრმა სახელმწიფოებმა ევროკავშირის პროკურატურა განსაზღვრეს, როგორც კომპეტენტური ორგანო;
2. გაეროს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ კონვენცია, რომლის მხარესაც წარმოადგენს ევროკავშირი, და
3. გაეროს კორუფციის წინააღმდეგ კონვენცია, რომლის მხარესაც წარმოადგენს ევროკავშირი.

მუხლი 5 აქტივების დაყადაღება

იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია შესაბამისი ხელშეკრულების, შეთანხმების ან კანონმდებლობის საფუძველზე, მხარეები ითანამშრომლებენ აქტივების დაყადაღების სფეროში.

მუხლი 6 ერთობლივი საგამომიებო ჯგუფები

- (1) მხარეებს შეუძლიათ ითანამშრომლონ ერთობლივი საგამომიებო ჯგუფების შექმნასთან დაკავშირებით იმ საქმეებზე, რომლებიც შეიძლება მოექცეს ევროკავშირის პროკურატურის კომპეტენციის ფარგლებში.
- (2) ერთობლივი საგამომიებო ჯგუფის შექმნის მიზნით, მხარეები გააფორმებენ კონკრეტულ შეთანხმებებს იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია შესაბამისი ხელშეკრულების, შეთანხმების ან კანონმდებლობის საფუძველზე, მათ შორის, სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ ევროპული კონვენციის (სტრასბურგი, 1959 წლის 20 აპრილი) მეორე დამატებითი ოქმის, გაეროს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ კონვენციისა და გაეროს კორუფციის წინააღმდეგ კონვენციის საფუძველზე.

მუხლი 7 ექსტრადიცია

მხარეები აღიარებენ, რომ როდესაც წარმოიშობა ევროკავშირის პროკურატურის მხრიდან ძებნილი პირის ექსტრადიციის მოთხოვნის საჭიროება, საქმის მწარმოებელ უფლებამოსილ ევროპელ პროკურორს შეუძლია მისი წარმდგენი წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს სთხოვოს ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის მომზადება, ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციისა (პარიზი, 1957 წლის 13 დეკემბერი) და მისი დამატებითი ოქმების შესაბამისად.

III თავი

სტრატეგიული თანამშრომლობა და ინსტიტუციური საკითხები

მუხლი 8

სტრატეგიული და სხვა სახის ინფორმაციის გაცვლა

- (1) კომპეტენციის ფარგლებში, მხარეებს შეუძლიათ გაცვალონ ნებისმიერი სახის სტრატეგიული და სხვა არა ოპერატიული ინფორმაცია.
- (2) პირველ პუნქტში მითითებული ინფორმაცია არ უნდა შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს.

მუხლი 9

ევროკავშირის პროკურატურაში მეკავშირე ოფიცრების განთავსება

- (1) წინამდებარე შეთანხმების გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, კერძოდ, მხარეთა შორის ოპერატიული თანამშრომლობის გასაღრმავებლად, საქართველოს პროკურატურას შეუძლია განათავსოს მისი მეკავშირე ოფიცერი ლუქსემბურგში მდებარე ევროკავშირის პროკურატურის სათაო ოფისში.
- (2) ევროკავშირის პროკურატურა უზრუნველყოფს მის სათაო ოფისში განთავსებული მეკავშირე ოფიცრისთვის სამუშაო სივრცეს, ტექნიკურ აღჭურვილობას და საჭირო ლოჯისტიკურ მხარდაჭერას. საქართველოს პროკურატურა დაფარავს ოფიცრის განთავსებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს.
- (3) წერილების გაცვლის გზით, მხარეები შეთანხმდებიან მეკავშირე ოფიცრის განთავსებასთან დაკავშირებული შესაბამისი შეთანხმებების გაფორმებაზე.

მუხლი 10

ევროკავშირის პროკურატურის საკონტაქტო პირები საქართველოში

ევროკავშირის პროკურატურის რეგულაციის 104(2) მუხლის შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან, რომ ევროკავშირის პროკურატურა საქართველოში განსაზღვრავს შემდეგ საკონტაქტო პირს:

საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი
საქართველო, თბილისი, 0114, გორგასალის ქუჩა 24

მუხლი 11

შეხვედრები და სხვა ღონისძიებები

- (1) მხარეები ორგანიზებას გაუწევენ მაღალი დონის შეხვედრებს ევროპის მთავარ პროკურორსა და საქართველოს გენერალურ პროკურორს შორის, აგრეთვე, ოპერატიულ და ადმინისტრაციულ დონეზე, ტექნიკური ხასიათის შეხვედრებს.
- (2) მხარეებს შეუძლიათ ითანამშრომლონ ერთობლივ ინტერესს მიკუთვნებულ საკითხებზე ტრენინგების ორგანიზებასთან დაკავშირებით და ერთმანეთი მიიწვიონ სემინარებზე, სამუშაო შეხვედრებზე, კონფერენციებზე და სხვა მსგავს ღონისძიებებზე, რომლებიც ორივე მხარისთვის არის რელევანტური.

მუხლი 12

ევროკავშირის პროკურატურის მიერ ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა

თხოვნის საფუძველზე, ევროკავშირის პროკურატურას შეუძლია დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს პროკურატურას მისი ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებით, კერძოდ, კორუფციისა და ფინანსური დანაშაულების გამომძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თაობაზე ექსპერტიზისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების გზით.

მუხლი 13

კომუნიკაციის არხები და საშუალებები

- (1) მხარეები ერთმანეთთან ურთიერთობას წარმართავენ ნებისმიერი გზით, წერილობითი ფორმით, მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციის უსაფრთხო საშუალებების გამოყენებით.
- (2) ოპერატიულ დონეზე, მხარეები ურთიერთობას წარმართავენ იმგვარად და იმ არხებით მეშვეობით, რომლებიც გათვალისწინებულია მოქმედი ხელშეკრულებით, შეთანხმებით ან კანონმდებლობით. იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, უპირატესობა უნდა მიენიჭოს მხარეთა შორის პირდაპირ თანამშრომლობას.
- (3) სტრატეგიულ და მენეჯმენტის დონეზე, მხარეები ურთიერთობას წარმართავენ ევროკავშირის პროკურორისა და საქართველოს გენერალური პროკურორის მეშვეობით.

IV თავი

პერსონალური მონაცემების დამუშავება, მონაცემთა უსაფრთხოება და პასუხისმგებლობა

მუხლი 14

პერსონალური ინფორმაციის გაცვლა

მხარეთა შორის პერსონალური მონაცემების ნებისმიერი გაცვლა უნდა განხორციელდეს ევროკავშირის და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 15

ზოგადი დებულებები

წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე გაცვლილ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით, მხარეები უზრუნველყოფენ, რომ:

- ა) პერსონალური მონაცემები სათანადოდ იყოს დამუშავებული;
- ბ) მიწოდებული პერსონალური მონაცემები იყოს ადეკვატური, რელევანტური და არ სცდებოდეს მოთხოვნის ან გადაცემის კონკრეტული მიზნობრიობის ფარგლებს;
- გ) პერსონალური მონაცემები შენახულ იქნას იმ ვადით, რომელიც საჭიროა ამ შეთანხმების მიხედვით მონაცემების მიწოდების ან შემდგომი დამუშავების მიზნებისთვის. ამგვარი საჭიროება გადახედილ უნდა იქნას არა უგვიანეს იმ ვადისა, რომელიც დადგენილია მხარეთა შესაბამისი კანონმდებლობით; და
- დ) არ მოხდეს პერსონალური მონაცემების გადაცემა მიზნობრიობის გარეშე.

მუხლი 16

განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების გადაცემა

1. აკრძალულია რასობრივ ან ეთნიკურ წარმომავლობასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან სხვა მრწამსთან, პროფკავშირების წევრობასთან, ან ჯანმრთელობასთან და სექსუალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული პერსონალური ინფორმაცია, თუ იგი მკაცრად არ არის საჭირო წინამდებარე შეთანხმების პირველ მუხლში ჩამოთვლილი მიზნებისთვის.

2. მხარეები გაატარებენ ადეკვატური დაცვის ღონისძიებებს, კერძოდ, შესაბამის ტექნიკურ და ორგანიზაციულ უსაფრთხოების ზომებს, რათა შესაბამისობაში იყვნენ ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პერსონალური მონაცემების კატეგორიების განსაკუთრებულ, სენსიტიურ ხასიათთან.

მუხლი 17

მონაცემთა სუბიექტის უფლებები და საჯარო წვდომის მოთხოვნები

1. სათანადო კანონმდებლობის შესაბამისად, პირებს გააჩნიათ არაერთი უფლება მხარეთა შორის ამ შეთანხმების საფუძველზე გაცვლილი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით. ამ უფლებებით სარგებლობა ხორციელდება იმ მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომელსაც მოთხოვნა წარედგინება.
2. მხარე, რომელსაც მოთხოვნა წარედგინება, მეორე მხარეს მისცემს აზრის გამოხატვის შესაძლებლობას, კერძოდ, ამ მოთხოვნის წარდგენის შემდგომ მონაცემთა სუბიექტისათვის წვდომის მინიჭების თაობაზე. მხარეები ერთმანეთს აცნობებენ წარდგენილ მოთხოვნასთან დაკავშირებით მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ.
3. წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე გაცვლილ დოკუმენტებთან დაკავშირებით საჯარო წვდომის თაობაზე თხოვნები დაექვემდებარება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ კონსულტაციის მოთხოვნას, მათ შორის, მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების თაობაზე შეტყობინებასთან დაკავშირებით.
4. ეს მუხლი ზიანს არ აყენებს იმ უფლებებს, რომლებიც პირს შეიძლება გააჩნდეს გადამცემი მხარის კანონმდებლობით, რათა მოითხოვოს ინფორმაციის გაცემა ამ მხარისაგან ან სხვა შესაბამისი კომპენსაცია. აგრეთვე, იმ შემთხვევებში, როდესაც იგი შეეხება ამ შეთანხმების საფუძველზე გაცვლილ ინფორმაციას, შესაბამისად გავრცელდება მე-2 პუნქტით დადგენილი ვალდებულებები.

მუხლი 18

შეტყობინების ვალდებულებები

1. თუ მონაცემთა სუბიექტის თხოვნის, გადამცემი მხარის შეტყობინების ან სხვა საშუალებით მხარისათვის ცნობილი გახდება, რომ ინფორმაცია, რომელიც მან მიიღო ან გადასცა მეორე მხარეს, არ არის, ან შეიძლება არ იყოს ზუსტი, ან არ უნდა გადაცემულიყო, იგი მიიღებს ყველა სათანადო ზომას, რათა არ მოხდეს ამგვარი ინფორმაციის შეცდომით

გამოყენება. ეს შეიძლება მოიცავდეს ამგვარი ინფორმაციის შევსებას, წაშლას ან შესწორებას, ასევე, მეორე მხარის ინფორმირებას, რომელიც იმოქმედებს შესაბამისად.

- წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე გაცვლილი პერსონალური მონაცემების გამოყენების წესის დარღვევის შემთხვევაში, მხარეები ერთმანეთს მაქსიმალურად სწრაფად აცნობებენ.

მუხლი 19

მონაცემთა უსაფრთხოება

მხარეები უზრუნველყოფენ საჭირო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების გატარებას, რათა ამ შეთანხმების საფუძველზე მიღებული პერსონალური მონაცემები დაცული იქნას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისგან, შემთხვევით დაკარგვისგან ან უნებართვოდ გამჟღავნებისგან, ცვლილებისგან, მათზე უნებართვოდ წვდომისგან ან ნებისმიერი სახის უნებართვოდ დამუშავებისგან. კერძოდ, მხარეები უზრუნველყოფენ, რომ ამგვარ მონაცემებზე წვდომა ჰქონდეთ მხოლოდ პერსონალურ ინფორმაციაზე წვდომის უფლების მქონე პირებს.

მუხლი 20

შემდგომი გადაცემა

ინფორმაციის შემდგომი გადაცემა, მათ შორის, ევროკავშირის ორგანოებისა და სააგენტოებისთვის, წევრი სახელმწიფოებისთვის, მესამე ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, საჭიროებს გადამცემი სახელმწიფოს მხრიდან დეტალური ან ზოგადი ფორმით, მკაფიო წინასწარ ნებართვას. ამგვარი თანხმობის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ეს დაშვებულია გადამცემი მხარის შესაბამისი კანონმდებლობით.

მუხლი 21

პასუხისმგებლობა მონაცემთა უნებართვო, არასწორი ან არაზუსტი დამუშავების შემთხვევაში

1. თითოეული მხარე, მისი შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, აგებს პასუხს მის მიერ მონაცემების უნებართვო, არასწორი, ან არაზუსტი დამუშავების შედეგად პირისთვის მიყენებული ნებისმიერი ზიანისთვის.
2. არცერთ მხარეს არ აქვს უფლება მის წინააღმდეგ პროცედურების მიმდინარეობისას, თავის სასარგებლოდ ამტკიცოს, რომ მეორე მხარემ მიაწოდა არაზუსტი ინფორმაცია. თუ დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანისთვის მხარეს დაეკისრება კომპენსაციის გადახდის ვალდებულება, ხოლო ზიანი გამოწვეულია მეორე მხარის მიერ ზუსტი ინფორმაციისა და მონაცემების გადაცემის სამართლებრივი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, მოთხოვნის შემთხვევაში, ამ თანხის გადახდა ამ უკანასკნელს დაეკისრება. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას ზიანის ოდენობის და კომპენსაციის განსაზღვრის თაობაზე, საკითხი გადაწყდება 22-ე მუხლით გათვალისწინებული კონსულტაციების გზით.
3. მხარეები ერთმანეთს არ მოსთხოვენ სადამსჯელო კომპენსაციის გადახდას ამავე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.

V თავი

დასკვნითი დებულებები

მუხლი 22

კონსულტაციები

მხარეები ერთმანეთთან აწარმოებენ კონსულტაციებს ნებისმიერ იმ საკითხზე, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს წინამდებარე შეთანხმების განსხვავებული განმარტება.

მუხლი 23

ხარჯები

თუ წინამდებარე შეთანხმებით სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული, მხარეები დაფარავენ თავიანთ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშობა ამავე შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესში. თხოვნის მიმღებმა მხარემ შესაძლოა თხოვნის გამგზავნი მხარისგან მოითხოვოს ხარჯების დაფარვა, როდესაც მოთხოვნილი დახმარების აღმოჩენა დაკავშირებულია მეტისმეტად დიდ ხარჯებთან.

მუხლი 24 შესწორებები

წინამდებარე შეთანხმებაში შესწორებების შეტანა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, წერილობითი ფორმით და მხარეთა ერთობლივი თანხმობით.

მუხლი 25 შეთანხმების შეწყვეტა

- (1) წინამდებარე შეთანხმება შეიძლება შეწყდეს თითოეული მხარის მიერ წერილობითი შეტყობინებიდან სამი თვის ვადაში.
- (2) შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეები შეთანხმდებიან მათ შორის მანამდე გაცვლილი ინფორმაციის განგრძობად გამოყენებასა და შენახვასთან დაკავშირებით.
- (3) პირველი პუნქტისთვის ზიანის მიყენების გარეშე, ამ შეთანხმებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები ძალაში რჩება.

მუხლი 26 ძალაში შესვლა

წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან.

შესრულებულია ქალაქ თბილისში, 2022 წლის 28 სექტემბერს, ორ ორიგინალ ეგზემპლარად, ინგლისურ და ქართულ ენებზე. ორივე ტექსტი თანაბრად ავთენტურია.

ევროკავშირის პროკურატურის სახელით, საქართველოს პროკურატურის სახელით,

ლაურა კოდრუტა კოვეში
ევროკავშირის მთავარი პროკურორი

ირაკლი შოთაძე
გენერალური პროკურორი